ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო[1]

თბილისი, 14 მარტი 2014წ.

პირველი სხდომის ოქმი

2014 წლის 14 მარტს, შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიმართა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს პირველი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან იზორია. სხდომას ესწრებოდნენ შსს-ს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის, შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის, შსს-ს სასაზღვრო პოლიციის, შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, შსს-ს კონტრტერორისტული ცენტრის, შსს-ს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის, შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს, შსს-ს რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის დეპარტამენტის, სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა კომისიის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA), აშშ-ის საელჩოსა და გაეროს რეგიონთაშორისი დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევის ინსტიტუტის (UNICRI) წარმომადგენლები.

უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, ლევან იზორია, მიესალმა საბჭოს წევრებს და გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი. მან ისაუბრა საქართველოს და ზოგადად კავკასიის რეგიონის გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების მიმართ განსაკუთრებული მიდგომის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე. მან ყურადღება გაამახვილა მთავრობის 2014 წლის 14 თებერვლის №164 დადგენილებით დამტკიცებულ ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნულ სტრატეგიასა და მის მიზნებზე. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სტრატეგიაზე დაყრდნობით მოხდება შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება, შესაბამისი სტანდარტების შემუშავება, არსებული

[1] 2014 წლის 21 თებერვლის № 201 დადგენილებით შეიქმნა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საბჭო.

შესაძლებლობების განვითარება, საჭიროების შემთხვევაში ახლის ჩამოყალიბება, მატერიალური და ფინანსური რესურსების სწორი გადანაწილება და ა.შ. ასევე ყურადღება გაამახვილა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების მიმართ მიდგომების ინსტიტუციონალიზაციისა და სტრატეგიაში განხილული პრიორიტეტების განხორციელების ზედამხედველობის მიზნით, შექმნილ უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს როლსა და მის ფუნქციებზე, მათ შორის, სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და მისი აღსრულების კონტროლზე. მან ასევე ხაზი გაუსვა გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში უცხოელი პარტნიორების ჩართულობის მნიშვნელობას.

სხდომაზე, საბჭოს წევრებმა წარმოადგინეს ქბრბ უსაფრთხოების სფეროში საკუთარი უწყებების როლი.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქართველოში არ არსებობს ქიმიური და ტოქსიური ნივთიერებების ოფიციალური ნუსხა და ტოქსიურობის ხარისხის დამდგენი ჩამონათვალი. მან საბჭოს წევრებს აღნიშნული ჩამონათვალის საკანონმდებლო დონეზე მიღების თხოვნით მიმართა.

სხდომაზე UNICRI-ს წარმომადგენელმა ჩაატარა პრეზენტაცია. მან საბჭოს წევრებს გააცნო ცენტრის ფუნქციები და წარმოადგინა სამოქმედო გეგმის მონახაზი. ასევე აღნიშნა, რომ UNICRI-ს ექსპერტები მზად არიან დახმარება გაუწიონ სამუშაო ჯგუფებს სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.

საბჭოს მდივანმა სხდომაზე წამოჭრა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის საკითხი და დაასახელა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილის კანდიდატურა. საკოორდინაციო საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე ბატონი შალვა ამირეჯიბი.

ქბრბ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, საბჭომ დაამტკიცა ქბრბ უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს თემატური სამუშაო ჯგუფები:

1. **ქიმიური უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფი**
2. **ბიოლოგიური უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფი**
3. **რადიაციულ/ბირთვული უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფი**

საბჭოს წევრებს დაევალათ თემატურ სამუშაო ჯგუფებში შესაბამისი კომპეტენციის თანამშრომლების წარდგენა.

წევრებს შესათანხმებლად წარედგინათ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების გრაფიკი და დაევალათ მასთან დაკავშირებით შენიშვნების უახლოეს მომავალში წარმოდგენა.

აღნიშნულ სხდომაზე რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მიაწოდა მოკლე ინფორმაცია 1-5 ივნისს გასამართი ქბრბ მეცნიერებისა და შედეგების მართვის კონგრესის შესახებ. მან ასევე ისაუბრა საჩვენებელ სწავლებაზე,

რომელსაც შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი განახორციელებს ევროპაში ამერიკის სარდლობის ქვედანაყოფებთან ერთად.

სხდომის დასასრულს საბჭოს თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა აშშ-ის მნიშვნელოვან როლსა და მათ მხარდაჭერას აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.